სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

14 აგვისტო 2026

N 21/11966

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 30 ივლისის №22/5458 წერილით (სააგენტოში რეგისტრაციით №11555) წარმოდგენილი საქმიანობის – თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის წინწყაროს ადმინისტრაციულ ერთეულში (ფართობი: 6306 $მ^2$) ბაზალტის ღია კარიერული წესით მოპოვების სკრინინგის განცხადება და გაცნობებთ შემდეგს:

სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებით, 2026 წლის 10 აგვისტოს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა №124-124262229 წერილი (სააგენტოში რეგისტრაციით №12094), რომლის თანახმად, სკრინინგის განცხადებაში მოცემული წიაღით სარგებლობის ობიექტის კოორდინატებზე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემულია უარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის 5^1 ნაწილის საფუძველზე, წყვეტს ადმინისტრაციულ წარმოებას.

დანართი: ელ.ვერსია.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/11966-21-2-202608141332

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE • კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა